

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

2 აპრილი, შაბათი, 1986 წ. № 149 (9810) © ფასი 8 კპბ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს IX სპარტაკიადა

შედეგების სარკეში

წარმატებას ვულოცავთ თბილისის, ფოთისა და მცხეთის რაიონის სპორტსმენებს

ამ დღეებში ბათუმში აკრებოდა ახსარეზობით დამთავრდა საქართველოს IX სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები (ამ ახსარეზობის შეხებაზე წერილი ცალკე გამოქვეყნდება). მას შემდეგ, რაც აკრებოდაში მოახსარევე კოლექტივებს ქულები დაერქვათ, ჭგუფებში საბოლოოდ განაწილდა საერთო გუნდური ადგილები. სპარტაკიადის საბოლოო შედეგების ანალიზი მომავლის საქმეა. ახლა კი ის შეიძლება ითქვას, რომ ჭგუფებში, სადაც კოლექტივებმა დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად მოიყარეს თავი, არ იგონებოდა მძაფრი კონკურენცია პირველობისათვის. ეს აშკარად მოჩანს ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან. ავიღოთ პირველი ჭგუფი. თბილისმა ლამის 10 ათასამდე ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ სპორტულ დედეგაციას. მძაფრი მეტოქეობა არ იგონებდა მეორე ჭგუფში პირველ და მეორე ადგილებზე გასულ ქალაქებს შორის. მდგომარეობა ასე თუ ისე თანაბარია მეხუთე ჭგუფის პირველ ექვსეულში. საერთოდ კი შიდაქვეყნით ყურადღება რესპუბლიკის 51 რაიონიდან ჩათვლა მიიღო მხოლოდ 42-მა. 42-ე ადგილზე გასულ თბილისის გუნდს მხოლოდ 5 ქულა აქვს. ამ ჭგუფში პირველ ადგილზე გასულ მცხეთის კოლექტივს კი 882. მაგრამ გადავხედოთ ცხრილის უფრო ქვედა საფეხურებსაც. ოთხმა რაიონმა (ლანჩხუთი, წალკა, მარნეული, ყაზბეგი) ვერც ერთი (!) ქულა ვერ დაიმსახურა. ახალქალაქის, ახანისის, თეთრი წყაროს, ბოგდანოვისა და ცაგერის რაიონებს კი საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა (!) სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში. შეიძველს შესაძლებლობა აქვს თავიდან ბოლომდე გააანალიზოს სპარტაკიადის შედეგები და ეს მეტყველი ციფრები მას უთუოდ დააფიქრებს.

როგორც ცხრილიდან ჩანს, რესპუბლიკის სპორტის მთავარ კერად ისევ და ისევ თბილისი რჩება. ეს ალბათ არც უნდა იყოს გახაკვირი, რადგან თბილისში საუკეთესო სპორტული ბაზები და მწვრთნელთა კადრებია, საქმესაც მეტი გულიყურით ეცილებიან. პირველ ჭგუფში სპარტაკიადის ადგილებს მიღმა დარჩენილ კოლექტივებს აშკარად უყვით შეეძლოთ ეახსარეწათ. ცხადია, ქების ღირსნი არიან ფოთისა და მცხეთის კოლექტივები, რომლებმაც დამაჯერებლად მოიპოვეს გამარჯვება თავიანთ ჭგუფში. აქვე აღვნიშნოთ, თბილისმა საერთო ჯამში უფრო მეტი ქულა მოაგროვა, ვიდრე I და III ჭგუფის ქალაქებმა და რაიონებმა — სულ 58-მა რეგიონმა ერთად აღებულა.

ფიქრობთ, რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებსა და ქალაქებში მსჯელობის საგნად იქცევა საქართველოს სპარტაკიადში ცალკეული რეგიონების მიერ მოპოვებული ქულები და დაკავებული ადგილები, ხოლო შედეგებიდან სათანადო დასკვნებს გამოიტანენ, რათა ამთავითვე გარდაქმნათ მუშაობა, შევქმნათ მტკიცე საფუძველი მასობრიობისა და ოსტატობისათვის.

სპარტაკიადის საოლოო შედეგები:

Table with 2 columns: Rank/Group and Points. Lists results for various regions like Tbilisi, Poti, Mtskheta, etc.



სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პირველი

საქართველოს სპორტული დედეგაციის მონაბარი

საგრო „ოქრო“ — ლევან ბასილაშვილი (52 კგ, თბილისი, „კოლხეურნი“) „ბრინჯაო“: დავით სოდალი (90 კგ, კასპი, „კოლხეურნი“) როგორც კიძიშვილი (მედიე წონა, ღუშეთი, „კოლხეურნი“)

მხოლოდ „მეორე რაუნდში“

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი გვარდელ გარჯაძე მინსკიდან ბელუფონით გვაცხრობინებს:

დაგეგმვდა სასპარტაკიადო ტურნირები ჰიდაობის ოთხივე სახეობაში. მედლებს ბოლო კომპლექტები გაითამაშეს სამბისტებმა. მინსკში სამბისტთა შეჯიბრების ბოლო ორ დღეს ასპარეზობდნენ 52, 62, 74, 90 კგ და მძიმე წონითი კატეგორიის მოჭიდველები. საქართველოს ნაკრების მეორე ხუთეული გაცილებით უკეთ გამოვიდა. სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტმა ლევან ბასილაშვილმა (52 კგ); ბრინჯაოს მედლები დასაკუთრეს კასპელმა დავით სოდალმა (90 კგ) და ლუშეთელმა რობერტ კიძიშვილმა (+100).

ანთ ქვეჯგუფებში მეორე ადგილები დაიკავეს. მეხუთე წრე. ლევან ბასილაშვილი ფინალის საგზურისთვის ლენინგრადელ ვლადიმერ იაშკინს შეხვდა და გაიმარჯვა ანგარიშით 5:0. ამ წონის მოჭიდვეთაგან ფინალში გავიდა აზერბაიჯანელი ჰაიგ აგაევი.

ყველა ეს ორთაბრძოლა 31 ივლისის დილით გაიმართა. საღამოს კი ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები მოეწყო. დავით სოდალმა ბრინჯაოს მედლისთვის უკრაინელ ვიქტორ ლუტინსკის შეხვდა. პირველი ქულა ლუტინსკიმ მოიპოვა.



ოვა, მაგრამ შემდეგ ხოდელმა შეხვდა 10 ქულა მოუგო მეტოქეს და აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა. კასპელმა ფალოვანმა საქართველოს გუნდს პირველი მედალი მოუტანა. ასეთსავე წარმატებას მიიღწია რობერტ კიძიშვილმა. მისი მეტოქე იყო 130-კილოგრამიანი ალმათეული გიგანტი სამალ რამაზანოვი. კიძიშვილმა ტაქტიკურად სწორად წარმოართა ეს ბრძოლა და ქულებით (5:2) გაიმარჯვა. იოსებ ჯიჩოშვილი წმინდად დამარცხდა კვიველ გენადი იარომენკოსთან და V ადგილზე დარჩა.

ამასობაში გადამწყვეტი ორთაბრძოლები დროც დადგა. სარბიელზე უხმეს პირველ ფინალურ წყვილს: ლევან ბასილაშვილსა (საქართველო) და ჰაიგ აგაევს (აზერბაიჯანი). ბასილაშვილი პირველად ჰიდაობს ასეთი საპასუხისმგებლო შეჯიბრების ფინალში, მისი მეტოქე კი ტიტულოვანი სპორტსმენია: სსრ კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, მოზარდილთა საკავშირო თასის გათამაშების ფინალისტი.

... პირველი ქულა აგაევმა მოიპოვა და დაწინაურდა — 1:0. იქვე ჩვენი ფალავანი მეტოქემ შეუბრძოლა. მაგრამ ბასილაშვილმა შეძლო დასსლტობა.

იხ. გვ. 2 გვ.

საგროთა კავშირის ჩემპიონატი ტყვიის სროლაში ყოველ შეჯიბრებაზე — მედალი




მოსკოვში, მიტოჩის „დინამოს“ სასროლეზე დაიწყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. შეჯიბრების პროგრამაში ამჯერად მხოლოდ არაოლიმპიური ვარჯიშებია შეტანილი.

მ-10 ვარჯიში, ე. ი. მცირეკალიბრანი პისტოლეტით ჩქაროსულ სროლაში (25 მეტრზე 3X20 ვასროლა) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა თბილისელმა ნინო სალუ-

ქვაძემ. მან 567 ქულა მოაგროვა. ამ სახეობაში გაიმარჯვა ბელარუსის წარმომადგენელმა ლოლტა ცვეტოვამ — 576 ქულა. აზერბაიჯანელმა ირინა აშემოვამ მეორე ადგილი დაიკავა — 571.

გულშემატკვირებში

- მიხაილავაძის სახელობის სპორტსმენებს, ვინც სულ ახლახანს თბილისში გაამორჩინა თვალსაჩინო მიღწევებით



როგორც ვიუწყებოდით, ოთხშაბათს, თბილისის „დინამოს“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა მატჩზე მოსული მაყურებელი გულთბილად მიხსლმა ჩვენი ცნობილ სპორტსმენებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში, საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში. სურათზე სწორედ ამ შეხვედრის მომენტებია აღბეჭდილი. ზემოთ — სპორტის დამსახურებული ოსტატი ელენე გოკიელი ხარუქარს გადასცემს სინქრონული ცურვის ოსტატს ნიხიტინა ფალასინდის; ქვემოთ — სპორტსმენები საპატიო წრეს უვლიან სტადიონს.

აღქმანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



სსრკ-ჩინეთი

12:4. ასეთი ანგარიშით დამთავრდა I აგვისტოს მოსკოვში გამართული სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოჭადრაკე ქალების მატჩ-ტურნირი. ჩვენი ქვეყნის ნაკრებში გამოდიოდნენ ცნობილი დიდოსტატები ირინა ლევიტინა, მარტა ლიტინსკაია, ლიდა სემიონოვა და საერთაშორისო ოსტატი ლიუდმილა ზაიცევა. ჩინელთა გუნდის შემადგენლობაში არ იყვნენ დიდოსტატები ლიუ შილანი და უ მინცენი. მიუხედავად ამისა, პირველ ტურში უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო. თანაბარ ორთაბრძოლაში მიმდინარეობდა შესამე ტურით, მაგრამ საბჭოთა მოჭადრაკე ქალების დიდმა გამოცდილებამ მაინც იჩინა თავი — დასკვნით ტურში მათ ოთხივე პარტია მოიგეს.

ეს იყო პირველი ოფიციალური მატჩი საბჭოთა და ჩინეთის მოჭადრაკე ქალების შორის. (ს.კ. კორ.).

- ნოვარშია:
- სასპარტაკიადო ტურნირებზე. 1-2 გვ.
- ფუნგურთი, ფუნგურთი... გვ-3 გვ.
- დავითო მისადავი გამოსცდავი გვ-4 გვ.
- გილ როჯარსის აზრით... გვ-4 გვ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა





საქართველოში

სულ ახლახან საქართველოში სტუ- მარალ იმყოფებოდნენ სოციალის- ტური რესპუბლიკა ბირმის კავ- შირის სპორტსმენები. ეს იყო ამ ქვეყნის ახალგაზრდა ფეხბურთელ- თა (18 წლამდე) ნაჭრები.

პირველად ბირმელებმა რუსთა- ვში ითამაშეს „მეტალურგთან“ და ანგარიშით 0:6 განიცადეს მარ- ტხი. ამის შემდეგ ახალგაზრდა ბირმელებმა ფეხბურთელებმა წყა- ლუბოს „მარტუვანთან“ ითამა- შეს და წააგეს — 3:4, მერე კი ცხაკაიში ფრედ დამთავრეს შე- ხვედრა ადგილობრივ „ვერისთან“ — 4:4. დაბოლოს, სტუმრებმა გორში მარტხი იწვევის ადგილო- ბრივ „დილასთან“ — 2:4.

ყველაფერ სიდაც კი სტუმრები ჩაღივდნენ, მათ გულბობილად, სტუმართმოყვრულად ეგებებოდ- ნენ, ათვალიერებდნენ ადგი- ლობრივ ღირსშესანიშნაობებს, გა- დასცემდნენ სამახსოვრო საჩუ- ქრებს.



30 ივლისს გაიმართა I ლიგის ფეხ- ბურთელთა საქვეშაო გათამაშე- ბის XXV ტურის შეხვედრები.

ლანჩხუთის „გურია“ თავის მი- ნდობრე მიიღო ახლახანის „ო- ტაიკი“. პირველ წარმატებას სტუ- მრებმა მიაღწიეს მე-9 წუთზე (შუ- რთი გაიტანა აკოფანია). ეს გო- ლი 28-ე წუთზე გაკეთდა ჩხა- ძემ, 70-ე წუთზე კი კობალიძემ გო- ლი დაწინაურა „გურია“ — 2:1. ბათუმის დინამოელებმა ორჯო- ნიკიძემ მარტხი განიცადეს ად- გილობრივ „სპარტაკთან“ შეხვედ- რაში — 0:2.

ტურის სხვა მატჩების შედეგები: „ფახთაქორი“ (ტაშვენტი) — „ყუ- ბანი“ (კრასნოდარი) 1:3, „პამირი“ (დუშანბე) — ასკ (დონის რო- სტოვი) 2:0, ასკ „კარპატი“ (ლვო- ვი) — „ლოკმოტივი“ (მოსკოვი) 2:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ფაკელი“ (ვორნეჟი) 0:2, „რო- ტორი“ (ვოლგოგრადი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 5:2, „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „კუზნასი“ (კემეროვი) 4:3, „დინამო“ (სტა- ვროპოლი) — ასკ (ხაბაროვსკი) 3:1, „მეტალურგი“ (ხაბაროვი) — „ატლანტი“ (კლაიპედა) 4:0.

დღეს I ლიგაში მორიგი, XXVI ტურის მატჩებია, ლანჩხუთში ერთმანეთს შეხვდებიან ჩვენი რეს- პუბლიკის გუნდები ადგილობრი- ვი „გურია“ და ბათუმის „დინა- მო“.

Table with columns: მატჩი, გუნდი 1, გუნდი 2, გოლები, დრო. Lists match results for various teams.

ფეხბურთის მოყვარულთა საურადადგომი

ხუთშაბათს, 31 ივლისს საქართ- ველოს ტელევიზიას დაგეგმილი მქონდა საინტერესო სპორტული გადაცემა ახალგაზრდობისთვის „გულშემატკივართა კლუბი“, რომელიც ფეხბურთელთა შექმნის მსოფლიო ჩემპიონატს ეძღვნებო- და. ეს გადაცემა გადატანილია კვი- რისთვის, 3 აგვისტოსათვის და ნაჩვენებია იქნება 22 საათსა და 45 წუთზე — საინფორმაციო პრო- გრამა „ვერმის“ დამთავრების შემდეგ.

ტბილისი, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 30 ივლისი. დინამო (ტბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 2:1 (1:1).

„დინამო“: გაბელია, კეძაშვილი, ჩივაძე, ჭელია, გურული, კაკილაშ- ვილი, ხვანაძე, სულაქველიძე, მიქაბერიძე (უგრედიძე, 70), ცაავა (რე- ვივილი, 55), მესხი.

„ტორპედო“: მიქაძე, შენგელია, ჭელიძე, მაღალია, ვასაძე, ბარათაშ- ვილი, კორღალიძე, შორაყავაშვილი (პაიციძე, 70), მეგრელიძე, ხაგბა (ტყა- ვაძე, 80), მანაგაძე.

მსაჯი ვ. კუზნეცოვი (ოშკი).

გოლები: კორღალიძე (5), ჩივაძე (88), გურული (89).

დუბლიორები — 4:1.

ფეხბურთის მოყვარულებმა კა- დიან, რომ წლებადნულ საკავშირო ჩემპიონატში ჩვენი რე- სპუბლიკის ორივე გუნდი კარგა მანძილთაა დაცილებული მედ- ლისა თუ სხვადასხვა ჯილდოე- ბის მიძიებულთა ჯგუფს და მეტად შეტრიალებული ამოცანები აქვს გადასაჭრელი. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ განსაკუთრებით მძიმე დღეები უდგას ქუთაისის „ტო- რედოს“, რომელსაც უკან დასა- ხევი გზა მოჭრილი აქვს (იგი გა- თამაშების ცხრილის ბოლოშია. ქუ- თაისელთა ყოველი მორიგი მარ- ტხი, ყოველი ქულის დაკარგვა, იმის მანიშნებელია, რომ მას უძლიერეს- თა რიგების დატოვების საფრთხე ელის).

ტორპედოელთა „სადებიუტო“ ატორობაც, ამ მატჩში, უპ- რივილეს • ყოვლისა, სწორ- იდ ამ ვარემოებამ განაპირო- ვა. მათი თავდასხმელები მეგ- ელულად და მანაგაძე პირველივე წუთებიდან ჩაერთვნენ თამაშში, „ტორედს“ მხარი აუბეს კორღა- ლიძემ, ხაგბამ, შენგელიამ. დი- ნამოელები, ეტყობა, არ ელოდნენ ასეთ დასაწყისს, ყოველ შემთხვე- ვაში, ისინი სრულიად მარტივ სი- ტუაციებში ცდებოდნენ და პირველ ხაზში საათში ვერაფრით ვერ მო- ბინდნენ კონტრთამაში. თამაშის და- წიებიდან 5 წუთით არ იყო გასუ- ლი, რომ სტუმრებმა კარგად ისა- რებულეს თბილისელი მეკველებს მორიგი შეცდომით და ანგარიშიც გასწესეს: მეგრელიძემ მარტხენა

ფლანგიდან მიიღო გადაცემა, სწრა- ვად შეაფასა სიტუაცია და ზუსტი პასით კარგ პოზიციაში გაიყვანა კორღალიძე, რომელმაც შეუჩერე- ბლად დაარტყა მარტხენა დაბალ კუთხეში — 1:0.

ლამაზად გათამაშებულმა ამ კო- მბინაციამ თითქოს საკუთარი ძა- ლების რწმენა შემატა ქუთაისელ ფეხბურთელებს. ისინი განაგრძო- ნენ მეტოქის კარის იერიშს და ზუსტად 10 წუთის შემდეგ ანგარი- შის გაზრდის რეალური შესაძლე- ბლობაც მიეცათ! მეგრელიძე გა- ბელისთან პირისპირ აღმოჩნდა, მა-



საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის XXV ტურის შეხვედრაში „დინამო“ (ტბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 2:1.

ლისი), ვ. წერეთელი (რუსთავი). დუბლიორები — 3:2.

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „ქაი- რათი“ 0:1 (0:1). ტორპედოელთა კარში ბურთი გაიტანა იაროვენიკო. გააფრთხილეს „ქაირათის“ ფეხ- ბურთელი სალომიძე.

დუბლიორები — 2:3.

„სპარტაკი“ — „დინამო“ (მოს- კოვი) 2:2 (0:0). ამ მატჩში დაწი- ნაურდნენ სპარტაკელები (ჩერე- ნკოვი, როდონოვი), ბოლო 12 წუთის განმავლობაში კი დინამო ელებმა შეძლეს ანგარიშის გათანა- ბრება (ბოროლიუკი, დობროვო- ლსკი).

აღსანიშნავია, რომ მოსკოველებმა არბიტრმა ა. სპირინმა ამ მატჩში

სამი 11-მეტრიანი დანიშნა, სამივე დარტყმა ზუსტად გამოიყენეს ჩე- რენკოვმა, ბოროლიუკამ და დობ- როვოლსკიმ.

დუბლიორები — 1:0.

„დნებრი“ — „ჩერნომორცი“ 1:0 (0:0). ერთადერთი ბურთი პო- ტასოვმა გაიტანა 11-მეტრიანთ.

გააფრთხილეს ოდესელი პასულკო. დუბლიორები — 3:1.

„შახტიორი“ — „შალგირისი“ 8:1 (1:0). გამარჯვებულთაგან ბუ- რთები გაიტანეს პეტროვმა (11- მეტრიანი) და რადენკომ (2), ხო- ლო „შალგირისის“ მხრივ — ნარ- ბეკოვსმა.

დუბლიორები — 2:0.

„მეტალიხტი“ — „ჟენიტი“ 1:0 (1:0). ბურთი გაიტანა სულომ.

დუბლიორები — 2:1.

„არარატი“ — „ნეფთჩი“ 0:0. გააფრთხილეს „ნეფთჩის“ მე- კარე ჟიდკოვი.

დუბლიორები — 6:0.

ჩემპიონატის საუკეთესო ბო- მბარდირთა სიას კვლავინდებურად მეთაურობს ბაქოს „ნეფთჩის“ თავ- ვიდაშხმელი მ. ახმედოვი, რომელ- მაც 11 ბურთი გაიტანა. 10-10 ბუ- რთი აქვთ გატანილი ო. პოტასოვს („დნებრი“), ს. როდონოვს („სპარ- ტაკი“) და ი. სავიჩევს („ტორპე- დო“, მოსკოვი).

თბილისის „დინამოელებმა მეორე ჩასათვლელი ბალი დაიმ-

მა წააქციეს გურული, რისთვისაც მსაჯმა ჩარიმა დანიშნა. დარტყმა ჩივაძემ ითავა და არც შემცდარა: 25 მეტრიდან მის მიერ უძლიერე- სად დარტყმული ბურთი ჯერ ზედა ძელს მოხვდა, შემდეგ შეკარეს და ბადეში გაეხვია — 1:1. შესვენე- ბამდე მეტოქეებს კიდევ თითოჯერ შეეძლოთ გოლის გატანა: 43-ე წუ- თზე ჟორჯიკაშვილმა ვერ გამოი- ყენა კორღალიძის კარგი გადაცე- მა, 44-ე წუთზე კი მესხის სახითა- თო დარტყმა მიქაძემ მოიგვრია.

თუ პირველი ტაიმის დასაწყისი ქუთაისელთა უბირატესობით მიმ- დინარებდა, მეორე ტაიმის „დე- ბიუტი“ უკვე თბილისელებისა იყო. ჯერ იყო და ცაავას მიერ 20 მეტ- რიდან დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, ხოლო შემდეგ მესხმა ხე- ლსაყველ სიტუაციაში ვერ დაიმო- ჩრჩია ბურთი. მართლაც, 61-ე წუთზე მასპინძლები თვითონ გა- დარჩნენ აშკარა გოლს (ჯორჯიკაშ- ვილის დარტყმის შემდეგ „დინა- მოს“ კარი ძელმა იხსნა), მაგრამ

მალე მათ მიზანსაც მიაღწიეს: 69-ე წუთზე მიქაბერიძემ მარჯვენა ფრთა- ზე გაიყვანა ჭელია, რომელმაც კარის გასწვრივ დაარტყა, ბურთს ადგილზე დახვდა გურული და წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1. და- რჩენილ 20 წუთში ქუთაისელები ბევრს ეცადნენ მდგომარეობის გა- მისწორებას (განსაკუთრებით დაგვიამსხვრდა ბაიციძის, ტყაუა- ძის, ბარათაშვილის დარტყმები), მაგრამ მათი ყველა ცდა წარუ- მატებლად დამთავრდა. მეტიც: მა- ტჩის ბოლო წუთზე უკვე ტორპე- დოელთა კარი გადარჩა გოლს — მეკარესთან პირისპირ გავიდა მეს- ხი, მაგრამ ბურთი პირდაპირ შეკა- რეს მორატყა.

ორივე გუნდის რიგებში კვლავ ვიხილეთ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელთაგან გან- საკუთრებით აღსანიშნავია თბი- ლისელი რევივილის თამაში.

დავით კაპაბაძე.

გათამაშების ცხრილი

Table with columns: მატჩი, გუნდი 1, გუნდი 2, გოლები, დრო. Lists match results for various teams.

„არა. არ უნახავთ“

ერთ მოედანი უნდა მოგვეწყო ვა- ვა-ფშაველას VI კვარტალში არ- სებულ მოედანზე, ე. წ. „მარაკანა- ზე“ (ზომა 10x69 მ). დამატებით აქ უნდა აშენებულიყო ტრიბუნ- ნები, ლამაზი სათავსოები. აღნიშნული პროექტი გახდა ხა- ფუძველი იმ მოქალაქეთა პრეტენ- ზიებისა, რომელთა საცხოვრებე- ლი სახლები უშუალოდ სპორტულ

მოედანს ემიჯნება.

ახალი სპორტის მიხედვით უნდა გაკე- თლეს 90X60 მ ფართობის მქონე მოედანი ტრიბუნებს გარეშე- სკოლის კაპიტალური რემონტი ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. შეე- ნებლები ვეპირდებიან, რომ სკო- ლის მოლიან რემონტს 20 აგვის- ტოსათვის დაამთავრებენ. როგორც 25-ე საშუალო სკოლის

დირექციის წერილში (1986 წ. 1.04. № 718) აღნიშნული, მოედანი მი- ხი რეკონსტრუქციის დამთავრე- ბის შემდეგ მიკრორაიონის მო- სახლებობასაც მოემსახურება.

ეს საკითხი პარტიას რაიონულ კომიტეტსა და რაისაბჭოს აღმას- კომის მუდმივ კონტოლზე. მ. ავალიანი, თბილისის ორჭონიკიძის რაიონის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.



გარი კასპაროვი და ანატოლი კარპოვი მანჩესტერში ბრძანდებიან სახელმწიფო



მეორე პარტია

ისევ ნიმცოვიჩის დაცვა... საკვირველია, რომ მას მსოფლიოს ექსპერტებმა მიმართა. საქმე ის არის, რომ კასპაროვი — კარპოვის წინა შეხვედრებში ეს სისტემა ექსპერტებისათვის უცხოა — სამი პარტია კასპაროვმა მოიგო, სამი უკიდურესი დამთავრდა, მაგრამ ამჯერად კარპოვმა დებიუტითვე ახალი ვაგონი შეიქმნა. ჩემპიონი 35 წუთით ფიქრობდა, მაგრამ შემდეგ უკვე ექსპერტების მოუხდა ფიგურებს ჩაიკრიკებდა. ცენტრის საფრთხეში იმართა, რამაც ყველაზე მეტად კარპოვი დააზარალა. მან რამდენიმე არხუსტი სვლა გააკეთა და შემდეგ პაიკის დამთავრება მოუხდა. პარტია 41-ე სვლაზე შეწყდა. სვლა შავი ფიგურებით მო-

თამაშე მსოფლიოს ექსპერტებში ჩაიწერა. ექსპერტების აზრით, კასპაროვს მოგების შანსები ჰქონდა. მეორე დღეს მეტოქე კვლავ მიუხსენებდა დაეხმარებოდა. იმ უპირატესობის რეალიზება, კასპაროვს რომ ჰქონდა, არცთუ ისე იოლი აღმოჩნდა. თანაც კარპოვი ზედმეტი ფიგურით ზუსტად და მშვიდად იცავდა თავს. ბოლოს და ბოლოს, როცა ჩემპიონმა ამოწურა საბრძოლო რესურსები, ხოლო ექსპერტებში სწორი გზა მონახა პარტიის გადასარჩენად, მეტოქე ყაიმზე შეთანხმდნენ.

ბ. კასპაროვი — ა. კარპოვი

- ნიმცოვიჩის დაცვა
- d4 f6 2. c4 e6 3. d3 c4 4. f3 c5 5. g3 d6 6. g2 d5 7. cd
 - d5 8. jd2 cd 9. d:d4 10. d:d5 11. l:d2 d6 12. f4
 - d:d2 + 13. d:d2 d7 14. g:h1
 - d:d7 15. d:d3 g:h8 16. d:c5 g:h8
 17. e:c3 d:d8 18. g:a1 c6 19. d:d3
 - d7 20. d:e5 e:c3 21. e:c3 e:h8 22. b4
 - a6 23. e4 h6 24. a3 f6 25. d:d3
 - c6 26. c:c6 m:c6 27. d:c5 d:e5 28.

- f4 d7 29. m:h3 d:d6 30. e4 g5
31. d:e3 e5 32. f:g f:g 33. d:a5 g4
34. e:c2 h5 35. e:c1 h6 36. e:c6 +
- d:e7 37. d:c4 e:h8 38. d:e6 f3
39. d:e3 f6 40. e:h6 m:e4 41. e:a6
- f2 + (ჩაწერილი სვლა) 42. d:d3
- d6 43. g:a7 + d:e6 44. g:h7 e4 +
45. d:e3 m:h5 + 46. d:e4 m:a3 +
47. d:d4 e:h2 48. g:h6 + d:d7 49.
- d5 h4 50. e:h4 e:h4 51. g:h g3 52.
- f1 m:c2 +. ყაიმი.

გაუზინ კვლავ ახმაურდა უნივერსიტეტისა და ინსტიტუტების დერეფნები და კაბინეტ-აუდიტორიები — დაიწყო მისაღები გამოცდები. მრავალმა ახალგაზრდამ შეიტანა საბუთები საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, მათგან საუკეთესოები სექტემბერში სტუდენტის ბიულეტენს მიიღებენ.



ლუაშვილსა (მარცხნივ) და ნიკო ოსტატი, საბჭოთა კავშირის ტან-ლეშაშელს გამოცდას აბარებს საერთაშორისო კლასის სპორტის ეკა ზეთურიძე.

კალეიდოსკოპი

გიუსნელს ახალი ვაგონი აქვს

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი რობერტუსნელი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატში უსათუოდ 16 გუნდი ითამაშებს. მან ეს მადრიდის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე თქვა ჟურნალისტებთან საუბარში.

სირიის არაბთა რესპუბლიკის სპორტული ფედერაციის აღმასკომის განცხადებით, ხმელთაშუაზღვის თამაშების მონაწილეებს (1987 წელს ლატავიაში გაიმართება) ნორმალური ცხოვრების, წვრთნისა და შეჯიბრებისთვის ყველა პირობა ექნებათ. თამაშების მონაწილეები და ტურისტები იცხოვრებენ სასტუმროებსა და კემპინგებში, რომელთა რაოდენობა ლატავიაში საკმარისზე მეტია.

ბიუსნელის აზრით, აქამდე მოქმედმა ფორმულამ, რომელიც 24 გუნდზე იყო გათვლილი, არ გამართლა. მორიგ ჩემპიონატში ევროპასა და ამერიკას ხუთ-ხუთი ადგილი დაეთმო, აზიასა და აფრიკას — ორ-ორი, მეტხუთმეტე ადგილს მიიღებს ოკეანია, მეთექვსმეტეს კი ჩემპიონატის ორგანიზატორი ქვეყანა — ამ შემთხვევაში არგენტინა.

ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც ცენტრიდან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული, ე.წ. ლურჯი სანაპიროს რაიონში თანამედროვე ტურისტული კომპლექსი შენდება. კომპლექსის დიდი ნაწილი რესტორნებს, კაფეებსა და ბარებს დაეთმობა. აქვე იქნება ლამაზი პარკი, საცურაო აუზები, სავადმყოფოები, პოლიკლინიკები და სათამაშო ცენტრი.

სხვა ყველაფერი, პრეზიდენტის განცხადებით, უცვლელი დარჩება. მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე ევროპის ხუთ გუნდს დასახელებს კონტინენტის ჩემპიონატი, რომელიც 1989 წელს საბერძნეთში გაიმართება.

სამშენებლო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაახლოებით 15 თვეს გასტანს.

გუნდი ბალევიზიით გაიცნეს

აშშ-ის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდის კაპიტანზე კარგი კორალებზე (იგი წარმოშობით უნგრელია) კეთილი ნების თამაშებმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

ფრენბურთი თამაშების პროგრამაში სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობა იყო რომელსაც ყოველდღიურად უამრავი მცოდნე და ობიექტური განწყობილი მაყურებელი ესწრებოდა. ასეთ პირობებში თამაშის დიდი ბედნიერებაა, თქვა კაპიტანმა კირალის აზრით, კეთილი ნების თამაშების ტურნირი ბრწყინვალე რეპეტიცია იყო მსოფლიო ჩემპიონატის წინ და ამ შეჯიბრებაში ახილსილიერითა და არც ავტორიტეტით არ ჩამოუვარდებოდა.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ მაყურებელს საშუალება ჰქონდა ტელევიზორზე ენახა ჩვენი თამაშის კირალის აზრით, ამერიკელმა გულშემატკივრებმა არაფერი იცნა ფრენბურთზე. მათ აღბათ ისიც გაუყვირდათ, რომ ასეთი ხლიერი და ათიარებული გუნდი ჰყავთ. კეთილი ნების თამაშების შემდეგ, — თქვა ნაკრების კაპიტანმა, — ფრენბურთი შტატებში უფრო პოპულარული სპორტი გახდება.

ჩოსტის არ ეთანხმებიან


კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის ნაკრებთან დამარცხების შემდეგ იუგოსლავიელთა მწვრთნელმა ჩოსტინმა ყველაფერი გადააბრალა მსაჯებს, რომლებიც „არ იყვნენ მზად ასეთი საბასუსისმგებლო მატჩისთვის და ზოგჯერ, ელემენტარულ სიტუაციებშიც კი, უხეშ შეცდომებს უშვებდნენ“.

იუგოსლავიელი ჟურნალისტები მწვრთნელის ამ განცხადებას არ დაეთანხმნენ. მათი აზრით, „თუკი ამ მატჩში ვინმე შეცდომა დაუშვა, ეს პირველ რიგში ჩოსტინია, რომელიც ვალდებული იყო შეხვედრის დამთავრებამდე 16 წამით ადრე შეენარჩუნებინა სამქულიანი უპირატესობა“.

ჩვენთვის ეს სამაგალითო გაკვეთილი იქნება, — განაცხადა გაზეთ „სპორტის“ კორესპონდენტმა. ყოველ შემთხვევაში, ახლა უკვე ყველამ იცის, როგორ უნდა ითამაშო ბოლო წუთში, როცა ანგარიში მიგყავს.

მსოფლიო სპორტის პარაკვლავები

„ბოსტონის მარათონი რომ არა, ალბათ არავის ეცოდინებოდა ბილ როჯერსის სახელი“, — თქვა ერთხელ ამ პოპულარული ასპარეზობის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა. მართლაც, ამ სახელგანთქმული მორბენლის თითქმის ყველა დიდი გამარჯვება ბოსტონის ქუჩებშია მოაოვებული. დაწყებული 1975 წლიდან, როდესაც ყველასთვის უცნობმა როჯერსმა საგრძნობლად ჩამოიტოვა მეტოქეები და ტრასის რეკორდი დაამყარა, (2:09.55), მან ოთხჯერ დაიმსახურა მარათონის ტრეუფატიორის დაფინის გვირგვინი. არადა, მაშინ ნიუ-იორკის, ჩიკაგოსა და ლონდონის მარათონს ისეთი „წონა“



კეთილი ნების თამაშების პროგრამით გამართულ მარათონს სტადიონის ტრიბუნებიდან ადევნებდით თვალს. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ საბოლოოდ გამოეთხოვეთ სპორტს?

— არა, მე წლებულს, აბრლიში უკვე მივიღე მონაწილეობა ერთ მარათონში და მეორისთვის ჯერ არა ვარ მზად. სხვათა შორის, ახლაც ბოსტონის მარათონში გამოვედი. ძველებურ ფორმაში აღარ ვიყავი, მაგრამ ჩემთვის არც მეოთხე ადგილი უნდა იყოს ურიგო შედეგი.

თქვენი აზრით, სპორტსმენს ერთ სეზონში რამდენჯერ შეუძლია მარათონში მონაწილეობის მიღება? — მარათონი მძიმე გამოცდაა თვით შესანიშნავად მომზადებული

ლარული ვარჯიშის შემდეგ გადაწყვიტეთ.

— არა, ეს მთლად სწორი არ არის. მართალია, ველოსიპედით სიარული ძალიან მომწონს და საკმაოდ დროსაც ვუთმობ, მაგრამ საშუალოზე მაინც ავტობუსით დავდივარ. მარათონს კი ასე დავუკავშირდი: მე თვითონ ქალაქ მელორონიდან ვარ, მაგრამ შემდეგ ბოსტონში ვადავდი საცხოვრებლად. ბოსტონის მარათონის ფინიში ჩემი სახლიდან ნახევარ მილზეა. პირველივე შეჯიბრებამ, რომელიც ამ ქალაქში ვნახე, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მაშინვე გადავწყვიტე, მეც მარათონელი უნდა გავხდეთ-მეთქი.

ვის თვითი უკანასკნელი წლების საუკეთესო მარათონელად მსოფლიოში?

როჯერსი და ბოსტონის მარათონი

არ ჰქონდა და ყველა ცნობილი მარათონელი ოლიმპიადების გარდა სწორედ ბოსტონში ეძიებდა სახელსა და დიდებას. ბოსტონის მარათონის პოპულარობას ტრადიციაც უწყობდა ხელს: პირველი შეჯიბრება ხომ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, 1897 წელს ჩატარდა. სამაგიეროდ, ოლიმპიურ სარბივლებზე როჯერსს ბედი არ სწყალობდა. მონრეალის ოლიმპიადის დროს ავადმყოფი სპორტსმენი მანცა გამოვიდა სტარტზე და თუმცა ძალიან გაუჭირდა, მართლაც მარათონელის სიმტკიცე გამოიჩინა და დისტანცია დაამთავრა. „სამშინელი სანახავი იყო, როგორ მობარბაცებდა არაქათამოცილი როჯერსი დისტანციის ბოლოს, — იგონებს იმ გარბენის მონაწი-

ლე, ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლსეკ ვირენი. — უკანასკნელი ოთხი კილომეტრის დაფარვას მთელი 40 წუთი მონადროდა და მაინც მივიდა ფინიშთან. ვაჟაკი სპორტსმენია... იმ დროს, რასაკვირველია, მაღალ შედეგზე ლაპარაკი აღარ შეიძლებოდა. ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის წინ როჯერსს კიდევ ერთხელ დასცინა ბედმა — სპორტსმენი დაშავდა და ეს მნიშვნელოვანი ასპარეზობა გამოტოვა. მსოფლიო, კეთილი ნების თამაშებზე საპატიო სტუმრად მოწვეულ ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილ სპორტსმენთა ჯგუფში როჯერსიც გახლდათ. იგი თავზაზანად დათანხმდა ეპასუხა ჩვენს რამდენიმე შეკითხვაზე.

სპორტსმენისათვის, ამიტომ წელიწადში ორი შეჯიბრება სრულიად საკმარისია. ამასთან მათ შორის ინტერვალი რამდენიმე თვე უნდა იყოს.

კვირაში რამდენ კილომეტრს ფარავთ? — ეს წელიწადის დროზე დამოკიდებულია. ისე, კი, კვირაში საშუალოდ 100 მილის გარბენა მიხდება. (ერთი მილი უდრის 1609 მეტრს. რედ.)

თქვენზე წამოიხივებს, თითქოს საშუალოზე ჯერ ველოსიპედით დადიოდით, შემდეგ კი სირბილით ფარავდით ამ მანძილს და მარათონში გამოსვლაც ასეთი რეგულ-

— ალბათ ისევ ინგლისელ რონ პილს და ჩემს თანამემამულეს, მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონს ფრენკ შორტერს.

სეულის ოლიმპიურ ასპარეზობაში აპირებთ გამოსვლას? — ჯერ არ გადამიწყვეტია, თუ იმ დროს ამერიკის გუნდში უმაღლესი კლასის სპორტსმენები არ იქნებიან, მაშინ იქნებ ვცადო ძალა.

ესაუბრა ბიორბი ჩოჩიაშვილი.

სურათზე: ბილ როჯერსი მსოფლიო გამართულ პრეს-კონფერენციაზე. თენგიზ თოშაძის ფოტო.

პარანა და თეატრი

ცენტრალური ბალევიზია. 2 აგვისტო. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); რიტმული ტანვარჯიში — 9.30 (2); სპორტი და პირთვინება — 9.30 (2); მსოფლიო ჩემპიონატი ფარეკობაში — 18.05 (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (კიევი) — „პარათი“ (ალმა-ათა) — 20.00 (2); მსოფლიო ჩემპიონატი ქალბრუნში. მატჩ-რეგენში — 20.10 (1).

საპარტოვალს ბალევიზია. 2 აგვისტო. ემზადებიან საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის თანამედროვე ხუთბრუნ და წყალბურთი — 12.00, მსოფლიო ჩემპიონატი ქალბრუნში: მატჩ-რეგენში — 20.10.

საპარტოვალს რადიო. 2 აგვისტო. რიტმული ვარჯიში — 11.40; სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. I ლიგა. „გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (მათუმი) — 22.00.

რედაქტორის მთავარი მ. ბაჩიაშვილი.